

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2009 წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2009 წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 3 756 638.8 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 009 964.9 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 120 238.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებულია 163 896.4 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით – 462 539.2 ათასი ლარი.

2009 წლის იანვარ-აგვისტოში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (3 009 964.9 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (2 960 546.8 ათასი ლარი) 101.7%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 690 066.5 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 696 513.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.2%;

– გრანტების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 112 298.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 154 888.0 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი – 3 897.4 ათასი ლარი;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 39 685.4 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 107 905.1 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 3 402.2 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება” – 18.6 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 343.2 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 483.4 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 879.1 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 392.4 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 1 186.1 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის კომპონენტი” – 99.4 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდებზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 0.3 ათასი ლარი.

– გასულ წელს შეცდომით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება (უარყოფითი შემოსავალი) – (-2.4) ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების” საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 158 181.5 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 158 563.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.2%.

2009 წლის იანვარ-აგვისტოში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (120 238.3 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (129 746.5 ათასი ლარი) 92.7%.

„ფინანსური აქტივების კლებით” მიღებული შემოსულობების მოცულობამ (163 896.4 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (162 964.4 ათასი ლარი) 100.6%.

„ვალდებულებების” ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა – 462 539.2 ათასი ლარი, მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 19 422.6 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მიღებული იქნა – 443 116.5 ათასი ლარი, მათ შორის:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 61 117.1 ათასი ლარი;

– რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (IDA) – 10 568.0 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2008 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის” რეტროაქტიულ დაფინანსებას;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 282 080.0 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 89 351.4 ათასი ლარი, მათ შორის: “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 1 273.5 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 142.7 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 182.0 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 1 972.6 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 25 001.7 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 9 171.4 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 30 261.4 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 12 392.7 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 8 762.7 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” – 190.7 ათასი ლარი, რომელთა ექვივალენტი

უცხოური ვალუტა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 122 579.6 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩარიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართება ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 7 768.2 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 თებერვლის №66 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 189.8 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტის” გრანტი – 387.0 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 555.6 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 1 057.3 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 289.4 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის” კრედიტი – 15 109.0 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტის (აზიის განვითარების ბანკის სესხი) კრედიტი – 12 402.9 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 44 576.5 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 9.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” კრედიტი – 114.5 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” კრედიტი – 7 582.6 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 474.8 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” – 209.3 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 1 164.7 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 30 689.0 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში აგვისტოს თვეში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 13 პროექტზე, საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 201 447.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2009 წლის 1 იანვრისათვის რიცხული

ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 154 971.4 ათასი ლარი. 46 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეძგავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2009 წლის იანვარ-აგვისტოში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 2 656.4 ათასი ლარი.

წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 9 836.7 ათასი ლარი.

ნაშთის ცვლილება

2009 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 753 615.5 ათასი ლარი, მ.შ: თავისუფალი ნაშთი – 708 014.9 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტები და გრანტები – 4 693.6 ათასი ლარი (აღნიშნული თანხა დაზუსტდა მიმდინარე წელს უკან მობრუნებული 1.7 ათასი ლარით და შეადგინა 4 695.3 ათასი ლარი); აკრედიტივით უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 39 865.3 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 1 040.0 ათასი ლარი, რომელიც მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

2009 წლის 1 სექტემბრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 250 509. ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 221 435.1 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში გასულ წლებში და მიმდინარე წელს ჩარიცხულმა თანხებმა საანგარიშო პერიოდში დაზუსტების შემდეგ შეადგინა – 7 425.2 ათასი ლარი, რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის რექტორაქტიული დაფინანსების თანხა (IDA) – 10 568.0 ათასი ლარი, აკრედიტივით უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 10 935.5 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 145.2 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 503 106.5 ათასი ლარი.

2009 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 361.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის

გადასახდლები

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერისა და 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების თვეების და კვარტლების მიხედვით

განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 9 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2009 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 5 323 518.4 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 4 731 960.9 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 591 557.6 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 4 560 450.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 4 269 727.2 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 3 964 772.6 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 304 954.6 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 93.6%, ხოლო გეგმის 80.2%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2009 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიან ხარჯებში შეადგინა 92.8%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 7.1%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 710 877.3 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 659 490.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 610 260.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 85.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 657 614.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 580 046.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 540 574.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.2%-ს და ცხრა თვის გეგმის – 82.2%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 113 591.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 98 525.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 98 525.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 86.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 33 763.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (33 763.8 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 64 761.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (64 761.2 ათასი ლარი) 100%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 401 048.0 ათასი ლარი, იანვარ-აგვისტოში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 260 096.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 242 058.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.1%-ს და გეგმის 60.4%-ს შეადგენს.

„გრანტების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 589 967.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 544 247.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (556 017.0 ათასი ლარი) 97.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის (589 967.9 ათასი ლარი) 92.3%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2009 წლის იანვარ-აგვისტოში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 536 258.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (547 927.5 ათასი ლარი) 98%-ია.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით 2009 წლის იანვარ-აგვისტოში მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 931 150.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 021 484.9 ათასი ლარი) 91.1%-ს და ცხრა თვის საგეგმო პარამეტრის (1 065 435.4 ათასი ლარი) 87.4%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დახმარებების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 925 904.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.1%-ია.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განესაზღვრა 831 538.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 734 557.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.3%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 534 336.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (602 546.1 ათასი ლარი) 88.7% და გეგმის (607 537.3 ათასი ლარი) 87.9%-ია.

ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 49 055.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 42 978.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (49 055.5 ათასი ლარი) 87.6% და ვალდებულების (49 043.3 ათასი ლარი) 87.6%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 211 686.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 176 226.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 83.2% და ვალდებულების (177 233.2 ათასი ლარი) 99.4%-ია.

„სხვა ხარჯების” მუხლით 2009 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 509 907.5 ათასი ლარით, იანვარ-აგვისტოში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 426 941.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 389 520.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.2%-ს და გეგმის 76.4%-ს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების” მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 240 708.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 271 353.8 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2009 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 284 006.5 ათასი ლარი. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა ვალდებულების 88.7% და საგეგმო მაჩვენებლის – 84.7%. მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 198 796.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (226 311.0 ათასი ლარი) 87.8% და საგეგმო მაჩვენებლის (229 665.2 ათასი ლარი) 86.6%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით” 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 806 020.2 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 576 311.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 534 716.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.8%-ს და გეგმის 66.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 305 888.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში

რეგისტრირებული იქნა 248 843.2 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (220 716.2 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 88.7% და საგეგმო მაჩვენებლის – 72.1%; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2009 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 119 946.4 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 81 308.6 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (81 231.4 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 67.7%, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 109 575.1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 98 938.1 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (97 519.6 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.6% და საგეგმო მაჩვენებლის – 89%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 144 888.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 78 719.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 76 537.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.2%-ს და გეგმის – 52.8%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 324 168.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 302 818.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 302 135.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.8%-ს და გეგმის – 93.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 89 486.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (89 486.7 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 212 649.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (213 331.8 ათასი ლარი) 99.7%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგეგმო მაჩვენებელს აღემატებოდა: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროექტი „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობათა გაზრდა 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პროცესში (UNDP)“ (კოდი 06 04 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 706.8 ათასი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები, (მათ შორის, 2007–2008 წლებში, საქართველო-გერმანიის სამთავრობო შეთანხმებით განსაზღვრული პროექტების მიზნებისათვის და ბიუროს საჭიროებისათვის გადახდილი თანხების ანაზღაურება (კოდი 23 06 05 მუხლი „სხვა ხარჯები“) – 49.2 ათასი ლარი; „საწარმოთა განვითარების პროექტი“ (კოდი 23 06 06 03, მუხლი „სუბსიდიები“ – 757.3 ათასი ლარი); „მონიტორინგი და შეფასება“ (კოდი 23 06 06 04, მუხლი „სუბსიდიები“) – 89.0 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს პროექტები: „მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – ი პროექტი“ (კოდი 26 13 01 მუხლი „სუბსიდიები“) – 258.9 ათასი ლარი; „მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – იი პროექტი“ (კოდი 26 13 02 მუხლი „სუბსიდიები“) – 687.4 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის „რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება საქართველოში“ (კოდი 35 20 01 06, მუხლი „სუბსიდიები“ – 21.5 ათასი ლარი; მუხლი „არაფინანსური აქტივები“ – 124.2 ათასი ლარი); „სახალხო დამცველის ოფისის დახმარების პროექტი“ (UNDP)“ (კოდი 40 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 43.6 ათასი ლარი. ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარშვებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში

ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულ ხარჯი, მომავალში მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგენს 40 616.8 ათას ლარს. მათ შორის:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაციის პროექტი დასავლეთ საქართველოში – 44.0 ათასი ლარი;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ირ პროექტი – 36 979.3 ათასი ლარი;
- მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკი) – 3 593.5 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2009 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 3 891 054.5 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 955 527.5 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (1 173 639.3 ათასი ლარი) 81.4%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 172 426.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (235 038.3 ათასი ლარი) 73.4% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 18%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 111 011.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (128 378.5 ათასი ლარი) 86.5% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 11.6%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 620 608.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (749 913.1 ათასი ლარი) 82.8%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 10 767.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10 802.8 ათასი ლარი) 99.7%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 632 424.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 528 744.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 13.6%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 665 024.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 563 869.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 14.5%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 384 822.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (439 591.4 ათასი ლარი) 87.5%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 74 333.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (93 829.0 ათასი ლარი) 79.2%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (42 410.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (53 613.9 ათასი ლარი) 79.1%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 62 237.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (77 904.9 ათასი ლარი) 79.9%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 675 840.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 441 739.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.4%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (28 883.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (30 902.4 ათასი ლარი) 93.5%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (57 377.5 ათასი ლარი), გეგმის (84 342.4 ათასი ლარი) 68% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 25 342.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 17 059.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 67.3%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 2 503.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 705.5 ათასი ლარი) 92.5%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 22 337.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14 556.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.2%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 448 391.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (290 990.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 64.9%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (24 181.3 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (57 123.0 ათასი ლარი) 42.3%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 18 184.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 396.1 ათასი ლარი) 77.7%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 26 485.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 912.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 52.5%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 3 792.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 2 759.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 72.8%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრულია 15 035.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (7 432.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 49.4%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 272 510.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 202 550.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 5.2%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 30 096.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (23 537.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 78.2%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (61 769.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (80 208.7 ათასი ლარი) 77%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 28 603.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (60 900.2 ათასი ლარი) 47%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 87 916.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (100 397.9 ათასი ლარი) 87.6%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 87 248.7 ათასი ლარით, რაც 2009 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის – 104 572.3 ათასი ლარის 83.4%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (27 370.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (31 597.1 ათასი ლარი) 86.6%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (21 779.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (27 667.8 ათასი ლარი) 78.7%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 20 363.7 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (18 898.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 92.8%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 16 124.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (21 516.4 ათასი ლარი) 74.9%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 362 225.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 280 091.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 77.3% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7.2%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 202 589.4 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (251 487.2 ათასი ლარი) 80.6%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 40 266.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (51 795.1 ათასი ლარი) 77.7%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები განათლების სფეროში დაფინანსდა 12 636.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (18 674.6 ათასი ლარი) 67.7%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2009 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 938 549.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 815 744.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 21%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 5 351.4 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (6 584.6 ათასი ლარი) 81.3%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 652 898.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 574 098.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 87.9%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 132 196.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (149 205.9 ათასი ლარი) 88.6%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 58 694.9 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (68 046.7 ათასი ლარი) 86.3%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 30 121.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (44 177.3 ათასი ლარი) 68.2%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2009 წლის ცხრა თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 45 964.8 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 137 შემთხვევაში შეადგინა 41 904.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 39 511.8 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2009 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგინა 2 392.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2009 წლის ცხრა თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 43 000.0 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 58 შემთხვევაში შეადგინა 34 238.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 31 027.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2009 წლის პირველი სექტემბრისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 211.1 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 209 859.7 ათასი ლარის ასიგნება („გრანტების“ მუხლით – 9 574.2 ათასი ლარი, „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 200 285.5 ათასი ლარი). აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 232.9 ათასი ლარის ასიგნება; „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა – 9 829.5 ათასი ლარი; აქედან: იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 856.6 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს – 4 690.8 ათასი ლარი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „გრანტის“ მუხლით – 307.9 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებელი დარჩა – 3 974.1 ათასი ლარი. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა პერიოდში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 192 380.0 ათასი ლარი. აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს გამოეყო 183 113.7 ათასი ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს მიზნობრივი ტრანსფერის სახით, ვალდებულებების დასაფარავად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „გრანტის“ მუხლით გამოეყო – 9 266.3 ათასი ლარი; საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად ორგანიზაციებმა ვალდებულებების მუხლით მიმართეს 1 417.2 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 5 269.7 ათასი ლარი (გეგმა – 6 012.5 ათასი ლარი); იუსტიციის სამინისტროს დასაფინანსებლად მიიმართა – 905.9 ათასი ლარი (გეგმა – 906.6 ათასი ლარი); სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 108.7 ათასი ლარი (გეგმა – 197.4 ათასი ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 59.9 ათასი ლარი (გეგმა – 59.9 ათასი ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო კვლევების პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა – 13.7 ათასი ლარი (გეგმა – 13.7 ათასი ლარი); განათლების რესურს-ცენტრების დასაფინანსებლად მიიმართა – 0.6 ათასი ლარი (გეგმა – 0.6 ათასი ლარი); საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 2.2 ათასი ლარი (გეგმა – 2.2 ათასი ლარი); სახელოვნებო და სასპორტო განათლების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა – 49.0 ათასი ლარი (გეგმა – 49.0 ათასი ლარი);

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე გამოეყო – 36.4 ათასი ლარი (გეგმა – 36.4 ათასი ლარი); მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად – 192.2 ათასი ლარი (გეგმა – 192.2 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. – სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიმართა 18.4 ათასი ლარი (გეგმა – 18.4 ათასი ლარი); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 1.3 ათასი ლარი (გეგმა – 1.3 ათასი ლარი); ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს დასაფინანსებლად 70.0 ათასი ლარი (გეგმა – 70.0 ათასი ლარი); გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 6.7 ათასი ლარი (გეგმა – 6.7 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ დასაფინანსებლად მიიმართა 1.3 ათასი ლარი (გეგმა – 8.4 ათასი ლარი); ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დასაფინანსებლად – 6.9 ათასი ლარი (გეგმა – 6.9 ათასი ლარი); პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 472.9 ათასი ლარი (გეგმა – 472.9 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასაფინანსებლად – 20.1 ათასი ლარი (გეგმა – 20.1 ათასი ლარი); საერთო სასამართლოების დასაფინანსებლად მიიმართა – 2.6 ათასი ლარი (გეგმა – 2.6 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროში: სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა – 13.9 ათასი ლარი (გეგმა – 14.3 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 170.4 ათასი ლარი (გეგმა – 170.4 ათასი ლარი); ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიიმართა 182 433.1 ათასი ლარი (გეგმა – 183 113.7 ათასი ლარი); ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს „გრანტის“ მუხლით – 9 574.2 ათასი ლარი (გეგმა – 9 574.2 ათასი ლარი); შინაგან საქმეთა სამინისტროს ს.ს.ი.პ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დასაფინანსებლად მიიმართა – 9.2 ათასი ლარი (გეგმა – 18.7 ათასი ლარი); ენერგეტიკის სამინისტროს ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტის დასაფინანსებლად მიიმართა – 7.3 ათასი ლარი (გეგმა – 7.3 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დასაფინანსებლად მიიმართა – 60.8 ათასი ლარი (გეგმა – 61.9 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის” ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 4 690.8 ათასი ლარი (გეგმა – 4 690.8 ათასი ლარი), რაც გატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდეზე.

2009 წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.